

#### 47. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 2002 წლის 20 მარტი.

##### **საქართველოს პარლამენტის განცხადება**

საქართველოს პარლამენტი აღშფოთებას გამოხატავს რუსეთის ფედერაციის მხრიდან ბოლო დროს გაძლიერებული ანტიქართული პროპაგანდის გამო და დაუშვებლად მიიჩნევს ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ამგვარ განვითარებას.

ცალკეულ პოლიტიკოსთა უპასუხისმგებლო გამონათქვამები დაგვირგვინდა რუსეთის ფედერაციის სათათბიროს მიერ ამა წლის 6 მარტს მიღებული განცხადებით “საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ – მის ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო მონაწილეობასთან დაკავშირებით”.

სამწუხაროდ, რუსეთის საკანონმდებლო ორგანომ არაადეკვატურად აღიქვა საქართველოს განზრახვა, ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეწყობით გააძლიეროს საკუთარი შეიარაღებული ძალები და თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში.

რუსეთის სათათბიროს მიერ ამასთან გაკეთებული განცხადება წარმოადგენს დაუფარავ მუქარას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, მის საშინაო საქმეებში უხეშად ჩარევის მცდელობას და იმის დემონსტრირებას, რომ რუსეთი საქართველოს განიხილავს არა მეგობარ, დამოუკიდებელ ქვეყნად, არამედ საკუთარი გავლენის სფეროდ. გადაწყვეტილება გამომდინარეობს ყოველი სუვერენული სახელმწიფოს უფლებიდან, თავად განსაზღვროს საკუთარი საგარეო და საშინაო პოლიტიკა. აღნიშნული გადაწყვეტილებით საქართველო შეუერთდა იმ სულისკვეთებას, რომლითაც 2001 წლის 11 სექტემბერის შემდეგ განმსჭვალულია მთელი ცივილიზებული მსოფლიო, მათ შორის, რუსეთი.

საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაგეგმილი ღონისძიება კავკასიაში მშვიდობის დამყარების მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება, რაც თავისთავად შეუწყობს ხელს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებასა და გაუმჯობესებას.

ყოველივე ამის პასუხად რუსეთის სათათბიროს განცხადება, რომ იგი ითანამშრომლებს “აფხაზეთის” და “სამხრეთ ოსეთის” თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებთან და “ცალმხრივად მიიღებს გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციის საზღვრის უსეფრთხოების უზრუნველყოფისათვის, მათ შორის, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთქმედების საფუძველზე”, წარმოადგენს რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ექვემდებარებას და სეპარატისტების მხარდაჭერას, რაც ეწინააღმდეგება როგორც სახელმწიფოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის პრინციპს, ისე საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ამგვარი ტიპის განცხადებები შესაძლებელია აღქმული იქნეს მხოლოდ როგორც პოლიტიკური ფონის მომზადება საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განხორციელებისათვის.

ამკარაა, რომ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს 2002 წლის 6 მარტის განცხადება ხელს უშლის ორმხრივი კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების განვითარებას და, სამწუხაროდ, არღვევს იმ შეთანხმებას, რომელსაც ბოლო თვეების განმავლობაში პრინციპულად იცავდნენ ორივე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოები და რომელიც მნიშვნელოვანი, წინგადადგმული ნაბიჯი იყო პრობლემური საკითხების მოგვარების გზაზე. საქართველოს პარლამენტი დაბეჯიდებით მოუწოდებს რუსეთის სათათბიროს თანამშრომლობის გაგრძელებისაკენ.

საქართველოს პარლამენტი აცნობიერებს, რომ საერთაშორისო ტერორიზმი და აგრესიული სეპარატიზმი საფრთხეს უქმნის როგორც პატარა, ისე დიდ სახელმწიფოებს და მოუწოდებს ორივე ქვეყნის მთავრობებს საერთო ინტერესებზე დამყარებული კონსტრუქციული თანამშრომლობისაკენ.

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს 2002 წლის 6 მარტის ზემოაღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისა და ფრაქცია „სოციალისტის“ განცხადებები.

**თბილისი, 2002 წლის 20 მარტი**

**(გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, # 68, 2002 წლის 21 მარტი)**